საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ანდორეთი

ანდორეთი, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის ღრომის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), მდ. მეჯუდის (ლიახვის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 920 მ, გორიდან 26 კმ. სოფელი მდებარეობს ისტ. შიდა ქართლში. XIV ს-იდან ქსნის საერისთავოში შედიოდა. ძვ. მოსახლეობა ქართულია; XIX ს-იდან ცხოვრობენ ოსებიც. 1865 მონაცემებით, ა. ქსნის უბნის ანდორეთის სასოფლო თემის (სოფლები: ანდორეთი, ბიეთი, თელაგინა, კიტრიული, თხინვალი) ცენტრი იყო.

ა. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ჯ. გვასალია